# სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

# სწორი პასუხები და შეფასების კრიტერიუმები

## I. საგნობრივი კომპეტენცია

1. ბ 2. ბ 3. ა 4. დ 5. ა 6. დ 7. გ 8. ა 9. დ 10. ა 11. გ 12. ა 13. დ 14. ა 15. დ 16. ბ 17. ბ 18. გ 19. დ 20. ბ 21. ბ 22. გ 23. ბ 24. დ 25. ა

თითოეული სწორი პასუხი 1 ქულა

26. ფაქტურა

28. ორნამენტი

27. ბალანსი **ან** წონასწორობა

29. ხედვის წერტილი **ან** რაკურსი

**30.** ჭეშმარიტია ☐

✍

**31.** ჭეშმარიტია ☐

✍

**32.** მცდარია ☐

✍ გეგმაში ჯვრის ფორნისა და გუმბათიანი გადახურვის მქონე ნაგებობას ქართულ არქიტექტურაში ჯვარ-გუმბათოვანი ეწოდება

**33.** ჭეშმარიტია ☐

✍

**34.** მცდარია ☐

✍ ფერზე სინათლის ატმოსფერული ეფექტების ასახვა იმპრესიონისტი მხატვრების ინტერესის უმთავრესი საგანია

**35.** ჭეშმარიტია ☐

✍

**36.** ჭეშმარიტია ☐

✍

---

**37.** მცდარია ☐

✍ კუბიზმი გამოსახულებას გეომეტრიულ ფორმებად შლის.

---

38.

| ღნიშვნები სურათზე / დავალე ბის № | ა | ბ | გ | დ | ე | ვ | ზ | თ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **38.1** | X | | | | | | | |
| **38.2** | | | | | | | X | |
| **38.3** | | | | X | | | | |
| **38.4** | | | | | | | | X |
| **38.5** | | | | | X | | | |
| **38.6** | | | X | | | | | |

39.

| შეფასების სქემა<br>მაქსიმალური ქულა 4 | |
|---|---|
| 4 ქულა | საკითხი სრულყოფილადაა გააზრებული _ პასუხი არის სრული, არგუმენტირებული, აპლიკანტი სრულყოფილად ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებას და ყურადღებას ამახვილებს იმ მხატვრულ ნიშნებზე, რომელიც როგორც სურეალისტური ფერწერისათვის ზოგადად, ისე კონკრეტულად მოცემული სურათისთვისაა დამახასიათებელი. პასუხში ჩანს მოცემული საკითხის გააზრებული, დამაჯერებელი, სრულყოფილი ანალიზი. პასუხი გამყარებულია ლოგიკური არგუმენტებითა და დამაჯერებელი, ადეკვატური მსჯელობით. |
| 3 ქულა | პასუხში ჩანს საკითხის ცოდნა. აპლიკანტი ახდენს მხატვრულ მიმდინარეობასთან წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშის იდენტიფიცირებას, თუმცა მისი მსჯელობა სრულყოფილი არ არის - იგი ყურადღებას ამახვილებს ნიმუშისა და ეპოქისათვის დამახასიათებელ მხოლოდ რამდენიმე თავისებურებაზე, მსჯელობაში გარკვეული შეცდომები შეინიშნება.<br><br>*ან* აპლიკანტი, მართალია, ვერ ახერხებს მხატვრული მიმდინარეობის იდენტიფიცირებას, თუმცა მხატვრული ნაწარმოების სრულყოფილ ანალიზს გვთავაზობს - ყურადღებას ამახვილებს სურათის დამახასიათებელ ყოველ თავისებურებაზე. |
| 2 ქულა | აპლიკანტი ახდენს მხატვრულ მიმდინარეობასთან წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშის იდენტიფიცირებას, თუმცა პასუხი ნაწილობრივ აცდენილია დასმულ პრობლემასთან. აპლიკანტის მსჯელობაში მნიშვნელოვანი შეცდომებია. თუმცა მსჯელობიდან ჩანს, რომ აპლიკანტს ესმის პირობაში დასმული საკითხის არსი.<br><br>*ან* აპლიკანტი, მართალია, ვერ ახერხებს მხატვრული მიმდინარეობის იდენტიფიცირებას, თუმცა მხატვრული ნაწარმოების საინტერესო ანალიზს გვთავაზობს - ყურადღებას ამახვილებს სურათის დამახასიათებელ ზოგიერთ თავისებურებაზე. |
| 1 ქულა | აპლიკანტი ახდენს მხატვრულ მიმდინარეობასთან წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშის იდენტიფიცირებას, თუმცა ვერ ახერხებს საკითხის გაანალიზებას და მის მსჯელობაში მნიშვნელოვანი შეცდომებია.<br><br>*ან* აპლიკანტი, მართალია, ვერ ახერხებს მხატვრული მიმდინარეობის იდენტიფიცირებას, თუმცა მხატვრული ნაწარმოების ანალიზის უნარს ავლენს. |
| 0 ქულა | პასუხი არაადეკვატურია. აპლიკანტი ვერ პასუხობს დავალების მოთხოვნებს. პასუხში არ ჩანს, რომ აპლიკანტს აქვს გარკვეული ცოდნა საკითხის გარშემო.<br>პასუხი ბუნდოვანია, აპლიკანტის მსჯელობაში არაარგუმენტირებული და ბუნდოვანი განმარტებებია. |

40.

| შეფასების სქემა<br>მაქსიმალური ქულა 4 | |
|---|---|
| 4 ქულა | აპლიკანტი ასახელებს რელიგიას, რომელთანაც ასოცირდება წარმოდგენილი არქიტექტურული ნაგებობა - ისლამს. აანალიზებს ნაგებობის არქიტექტურულ სტრუქტურას - გუმბათი, თაღების შეისრული ფორმები, მინარეთი. აანალიზებს გაფორმების დეკორატიულ სისტემას - ნაგებობის ფასადის ფერადოვანი გადაწყვეტა და მისი დეკორატიული მორთულობა - არაბესკა, დეკორატიული სისტემის ხალიჩისებური ხასიათი. |
| 3 ქულა | აპლიკანტი ასახელებს რელიგიას, რომელთანაც ასოცირდება წარმოდგენილი არქიტექტურული ნაგებობა და აანალიზებს დასახელებულთაგან 4 თვისებურებას **ან** ასახელებს არქიტექტურული ნაგებობის 6 თვისებურებას და ვერ ასახელებს რელიგიას |
| 2 ქულა | აპლიკანტი ასახელებს რელიგიას, რომელთანაც ასოცირდება წარმოდგენილი არქიტექტურული ნაგებობა და აანალიზებს დასახელებულთაგან 2 თვისებურებას **ან** ასახელებს არქიტექტურული ნაგებობის 4 თვისებურებას და ვერ ასახელებს რელიგიას |
| 1 ქულა | აპლიკანტი ასახელებს ან რელიგიას, ან აანალიზებს დასახელებულთაგან 2 თვისებურებას |
| 0 ქულა | აპლიკანტი ვერ ასრულებს დავალებას |

41.

| შეფასების სქემა<br>მაქსიმალური ქულა 4 | |
|---|---|
| 4 ქულა | აპლიკანტი ახდენს ხელოვნების ნიმუშის იდენტიფიცირებას, ასახელებს რა ისტორიულ მოვლენას ასახავს წარმოდგენილი ძეგლი და ყურადღებას ამახვილებს იმ მხატვრულ და სიმბოლურ ნიშნებზე (მაგ. ადამიანის გამოსახვის პრინციპი, ხალიჩისებური წყობა, მთავარი ფიგურების ზომებით აქცენტირება, სტილიზებული ცხოველები გადაჯვარედინებული კისრებით, ხარი ძლიერების სიმბოლო, ქუდი - ეგვიპტის გაერთიენაების სიმბოლო და ა. შ.), რომელიც ნარმერის ფილაზე ავტორის მიერ აზრისა და იდეის გადმოსაცემადაა გამოყენებული. |
| 3 ქულა | აპლიკანტი ახდენს ხელოვნების ნიმუშის იდენტიფიცირებას, ასახელებს რა ისტორიულ მოვლენას ასახავს წარმოდგენილი ნიმუში და ყურადღებას ამახვილებს 1 მხატვრულ და 2-3 სიმბოლურ ნიშანზე, რომელიც ნარმერის ფილაზე ავტორის მიერ აზრისა და იდეის გადმოსაცემადაა გამოყენებული.<br><br>***ან*** აპლიკანტი, მართალია, ვერ ახერხებს ძეგლის იდენტიფიცირებას, თუმცა მხატვრული ნაწარმოების სრულყოფილ ანალიზს გვთავაზობს - ყურადღებას ამახვილებს ყოველ თავისებურებაზე. |
| 2 ქულა | აპლიკანტი ახდენს ხელოვნების ნიმუშის იდენტიფიცირებას, ასახელებს რა ისტორიულ მოვლენას ასახავს წარმოდგენილი ნიმუში და ყურადღებას ამახვილებს 1 მხატვრულ და 1 სიმბოლურ ნიშანზე, რომელიც ნარმერის ფილაზე ავტორის მიერ აზრისა და იდეის გადმოსაცემადაა გამოყენებული.<br>***ან*** აპლიკანტი, მართალია, ვერ ახერხებს ძეგლის იდენტიფიცირებას, თუმცა ახერხებს 1 მხატვრული და 2-3 სიმბოლური ნიშნის ამოცნობას. |
| 1 ქულა | აპლიკანტი ახდენს წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშის იდენტიფიცირებას<br>***ან*** აპლიკანტი, მართალია, ვერ ახერხებს ძეგლის იდენტიფიცირებას, თუმცა 1-2 მხატვრული და სიმბოლური ნიშნის ამოცნობის უნარი შესწევს. |
| 0 ქულა | პასუხი არაადეკვატურია. აპლიკანტი ვერ პასუხობს დავალების მოთხოვნებს. პასუხში არ ჩანს, რომ აპლიკანტს აქვს გარკვეული ცოდნა ან გააზრების უნარი. |

42.

| შეფასების სქემა<br>მაქსიმალური ქულა<br>I პუნქტისათვის 5 ქულა<br>II და IV პუნქტისათვის 3 ქულა<br>III პუნქტისათვის 4 ქულა | |
|---|---|
| I<br>5 ქულა<br><br>II IV<br>3 ქულა<br><br>III<br>4ქულა | საკითხი სრულყოფილადაა გააზრებული _ პასუხი არის სრული, არგუმენტირებული, აპლიკანტი პასუხობს ყველა მითითებას, რომელსაც მოითხოვს დავალების პირობა. პასუხში ჩანს მოცემული საკითხის გააზრებული, დამაჯერებელი, სრულყოფილი ანალიზი. პასუხი გამყარებულია ლოგიკური არგუმენტებით და/ან დამაჯერებელი, ადეკვატური მსჯელობით. |
| I<br>4 ქულა<br>III<br>3 ქულა | აპლიკანტი ხელოვნების ნიმუშების მეტ-ნაკლებად სრულ შედარებით ანალიზს აკეთებს. მსჯელობა არ არის სრულყოფილი და გარკვეულ უზუსტობებს შეიცავს. |
| ყველა ქვეპუნქტ ისათვის<br><br>2 ქულა | პასუხში ჩანს საკითხის ნაწილობრივი გააზრება. აპლიკანტი არ პასუხობს პირობაში მოცემულ ყველა მითითებას, ან მისი პასუხი ნაწილობრივ აცდენილია დასმულ პრობლემასთან - აპლიკანტს ხელოვნების ნიმუშების შედარებითი ანალიზის გაკეთება უჭირს. პასუხი სუსტია და არათანმიმდევრული,თუმცა მსჯელობიდან ჩანს, რომ აპლიკანტს ესმის პირობაში დასმული საკითხის არსი. |
| 1 ქულა | აპლიკანტი ვერ ახერხებს მსჯელობის განვითარებას. მსჯელობს არათანმიმდევრულად, არაადეკვატურად და უშვებს მნიშვნელოვან შეცდომებს. |
| 0 ქულა | დავალების პირობა სწორად არ არის გააზრებული. პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტი არაადეკვატურად იყენებს ან არ გააჩნია შესაბამისი ცოდნა და შედარებითი ანალიზის უნარი;<br><br>პასუხი ბუნდოვანია, მასში მეორდება დავალების პირობაში მოცემული ინფორმაცია, ან მოყვანილია არაარგუმენტირებული და ბუნდოვანი განმარტებები. |